

პირობები ძალაშია 2011 წლის 25 ნოემბრიდან.
 ცვლილებები შესულია 2013 წლის 11 აპრილს.

სს "ლიბერთი ბანკის" საგანგებო ავანსის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

1. ზოგადი პირობები

1.1 წინამდებარე პირობები, (შემდგომში "პირობები") წარმოადგენს სს "ლიბერთი ბანკის" (შემდგომში "ბანკი") საგანგებო ავანსის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს.

1.2 ნებისმიერი ფიზიკური პირის (შემდგომში "მსესხებელი") ბანკის საგანგებო ავანსით (შემდგომში „საგანგებო ავანსი“ ან „ავანსი“) სარგებლობის წესი და აღნიშნულ პროცესში მისი უფლება-ვალდებულებები რეგულირდება პირობებით, თუ მხარეთა (ბანკი და მსესხებელი) შორის სხვა რამე არ არის შეთანხმებული წერილობით.

1.3 ბანკის მიერ დადგენილი ფორმით მსესხებლის მიერ პირობებზე თანხმობის გამოცხადება წარმოადგენს აღნიშნული პირობებით ბანკსა და მსესხებელს შორის საგანგებო ავანსის ხელშეკრულების გაფორმებას.

2. მსესხებლის განცხადებები და გარანტიები საგანგებო ავანსით სარგებლობისთვის

2.1. მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1. ხელშეკრულების დადების თარიღისათვის არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში, რითაც საფრთხე ექმნება მის ქონებას ან/და მის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

2.1.2. ხელშეკრულების დადების დღისათვის მის მიერ ბანკში წარდგენილი ინფორმაცია არსებული ვალდებულებების შესახებ არის უტყუარი და ზუსტი.

2.1.3. ავანსის ბანკომატის საშუალებით გააქტიურების პროცესში ყურადღებით გაეცნო ინფორმაციას ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიოს მოცულობის და საშეღავათო პერიოდის ხანგრძლივობის შესახებ.

2.1.4. მის (მსესხებლის) მიერ საგანგებო ავანსის ბანკომატის საშუალებით გააქტიურების ფაქტი, რომელიც მათ შორის საჭიროებს მსესხებლის მხრიდან ბანკომატის შესაბამის მენიუში ბანკის მიერ მის (მსესხებლის) მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი ავანსის გააქტიურების კოდის შეყვანას, წარმოადგენს ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიოს მოცულობის და საშეღავათო პერიოდის ხანგრძლივობაზე აქცეფტს.

2.1.5. ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, ბანკის ან სხვა მესამე მხარეთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების, ან ზემოქმედების გამოყენების გარეშე.

2.1.6. თუ ბანკი სხვაგვარ თანხმობას არ გასცემს, მსესხებელი არ დაიკისრებს რაიმე დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს.

2.1.7. მსესხებელს ესმის და აღიარებს, რომ ხელშეკრულების შესაბამისად საგანგებო ავანსის გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ ბანკის ნებაზე. ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს საგანგებო ავანსის გაცემის საკითხს და დამოუკიდებლად წყვეტს მას. ხელშეკრულება არ ავალდებულებს ბანკს ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს საგანგებო ავანსი, ის მხოლოდ განსაზღვრავს საგანგებო ავანსის მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს საგანგებო ავანსის გაცემის საფუძველზე ბანკსა და მსესხებელს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

2.2. მსესხებელი ეთანხმება, რომ ბანკი ხელშეკრულებას დებს ზემოთ მოცემულ განცხადებებსა, გარანტიებსა და

ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიებისა და ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია ბანკის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს საგანგებო ავანსის გაცემას) ცალმხრივი უარის სათქმელად ან/და ხელშეკრულების ცალხრივად შესაწყვეტად. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია ბანკის მიერ მითითებულ ვადაში დააბრუნოს ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი თანხა მასზე დარიცხული პროცენტის და პირგასამტეხლოს თანხების ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.3. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რა შემთხვევაშიც მსესხებელი ვალდებულია ბანკის მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინოს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია.

2.4. მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

3. საგანგებო ავანსის გააქტიურება, ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიო, საშეღავათო პერიოდი და მისი (ავანსის) დაფარვის წესი

3.1. მსესხებლის ბარათზე ავანსის რეგისტრაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის მიერ ავანსის გააქტიურებიდან არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღის ბოლომდე მოხდა ავანსის ფარგლებში ბარათზე ხელმისაწვდომი ნაშთიდან ნებისმიერი ოდენობის თანხით სარგებლობა.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა ავანსის რეგისტრაცია, მაგრამ არ განხორციელდა ავანსის მთლიანი ლიმიტით სარგებლობა, აუთვისებელი თანხა აქტიური იქნება მისი (ავანსის) გააქტიურებიდან საშეღავათო პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საგანგებო ავანსის აუთვისებელი თანხა უქმდება.

3.3. ავანსის ერთჯერადი გააქტიურების საკომისიო (ასეთის არსებობისას) გადაიხდება მსესხებლის ანგარიშიდან წინასწარ, ავანსის დარეგისტრირებისას.

3.4. ავანსის გააქტიურებიდან განსაზღვრული დღეების (დღეების რაოდენობა დგინდება ინდივიდუალურად ყოველი მსესხებლისათვის) განმავლობაში მსესხებლის მიერ ავანსის ათვისებულ თანხაზე მოქმედებს საშეღავათო პერიოდი და მას (ათვისებულ თანხას) აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ ერიცხება პროცენტი.

3.5. ათვისებული საგანგებო ავანსის თანხის, დარიცხული პროცენტის (ასეთის არსებობისას) და ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიოს მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვა ხორციელდება ავტომატურად მსესხებლის ანგარიშზე ნებისმიერი თანხის ჩარიცხვისთანავე.

3.6. მსესხებლის ანგარიშზე ჩარიცხული ნებისმიერი თანხიდან პირველ რიგში დაიფარება ავანსის პროცენტი (ასეთის

პირობები ძალაშია 2011 წლის 25 ნოემბრიდან.
 ცვლილებები შესულია 2013 წლის 11 აპრილს.

არსებობისას), დავალიანება ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიოს მიხედვით (ასეთის არსებობისას) და ბოლოს ავანსის ძირი თანხა.

3.7 საგანგებო ავანსის ძირი თანხა, ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიო და დარიცხული პროცენტი (ასეთის არსებობისას) გადახდას ექვემდებარება იძულებითი, ან მსესხებლის მიერ ნებაყოფლობითი წესით აღსრულების მომენტისათვის გაანაგარიშებული თანხით, არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით.

4. პროცენტის დარიცხვის წესი

4.1. საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ ავანსის ნებისმიერი აუთვისებელი თანხა უქმდება, ხოლო ავანსის ათვისებული თანხის ფარგლებში ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ ათვისებულ საგანგებო ავანსის თანხას დაარიცხოს პროცენტი საგანგებო ავანსის სახით ათვისებული თანხის წლიური 32%-ის ოდენობით გაანგარიშებული ავანსის მოქმედების თითოეულ დღეზე (საშეღავათო პერიოდის გარდა).

4.2. პროცენტი იანგარიშება საშეღავათო პერიოდის შემდეგ საგანგებო ავანსის თანხით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით.

4.3. თუ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვლება საერთო ეკონომიკური ვითარება, ან გამოიყენა ნორმატიული აქტი საფინანსო, საკრედიტო ან სავალუტო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლისათვის წინასწარ 30 დღით ადრე შეტყობინების საფუძველზე ცალმხრივად შეცვალოს ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი. ახალი საპროცენტო განაკვეთი დაირიცხება ცვლილების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

4.4. თუ მსესხებელი არ დაეთანხმება ბანკის მიერ შეცვლილ საპროცენტო განაკვეთს, რაც უნდა გამოიხატოს მსესხებლის მხრიდან ბანკში წერილობითი შეტყობინების წარმოდგენით, ბანკი მისი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღეში ჩათვლის ხელშეკრულებას მსესხებლის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტილად. ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია, ხელშეკრულების შეწყვეტიდან მომდევნო 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში სრულად დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანებები: ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიო, დარიცხული პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და საგანგებო ავანსის ძირითადი თანხა.

4.5. საპროცენტო განაკვეთის მსესხებლის სასარგებლოდ შეცვლა არ საჭიროებს მის დამატებით აქცეპტს. შეცვლილი საპროცენტო განაკვეთი დაირიცხება ცვლილების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და იგი გადახდას ექვემდებარება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5. საგანგებო ავანსის დაფარვის და პროცენტის გადახდის დამატებითი პირობები

5.1. მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, მსესხებლის ბანკში გახსნილი ნებისმიერი და ყველა ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოაწეროს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი, მათ შორის: საკომისიო(ები) (ასეთ(ებ)ის არსებობისას), დარიცხული პროცენტი და დავალიანების ძირი, - საგანგებო ავანსთან დაკავშირებული დავალიანებების დაფარვის წესების გათვალისწინებით.

5.2. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მსესხებლისგან საგანგებო ავანსის ძირითადი თანხის, მასზე

დარიცხული პროცენტის და ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიოს სრული დაფარვა.

5.3. თუ გადასახდელი და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის დადგენილი ბანკში მოქმედი კურსით, რომლის მომსახურების ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოეწერება მსესხებლის ანგარიშიდან, ხოლო კონვერტირებული თანხა მიიმართება საგანგებო ავანსის დაფარვის წესებით დადგენილი კონკრეტული გადასახდელის დასაფარად.

5.4. ხელშეკრულების ამ მუხლში მითითებული საბანკო ოპერაციების ჩატარების შესახებ ბანკი მოთხოვნისთანავე აძლევს მსესხებელს ამონაწერს ანგარიშიდან.

6. უზრუნველყოფის საგნებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები

6.1 ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოთხოვოს მსესხებელს არსებული საკრედიტო ვალდებულების უზრუნველყოფა. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, ბანკის მიერ დადგენილ ვადაში, ბანკს დასატვირთად გადასცეს ქონება, ან წარმოადგინოს ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის რომელიმე სხვა, ბანკისათვის მისაღები საშუალება.

6.2 მსესხებლის მიერ ამ მუხლით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია:

6.2.1 მოითხოვოს საგანგებო ავანსის დაუყოვნებლივ დაფარვა - თუ საგანგებო ავანსის დაშვებულია (დარეგისტრირებული); ან/და

6.2.2 უარი განაცხადოს საგანგებო ავანსის დაშვებაზე და შეწყვიტოს/გააუქმოს ხელშეკრულება - თუ საგანგებო ავანსი არ არის დაშვებული (დარეგისტრირებული).

6.3 ბანკის მიმართ არსებული მსესხებლის ვალდებულება (საგანგებო ავანსის ძირი, პროცენტი, ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიო, ზიანი, სასამართლო და სააღსრულებო ხარჯები და სხვა), მსესხებლის მხრიდან მესამე პირს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბანკის უარი ვალის მესამე პირისათვის გადასაცემად გამოიციხავს ვალის გადაკისრებას მესამე პირზე.

7. ხელშეკრულების პირობების დარღვევა

7.1. ხელშეკრულების პირობები დარღვეულად ჩაითვლება თუ:

7.1.1 მსესხებელი ვერ შეასრულებს ან ვერ დაიცავს ამ ხელშეკრულებით დადგენილ ნებისმიერ ვალდებულებას ან მსესხებელსა და ბანკს შორის არსებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ ვალდებულებას, თუ ასეთი შეუსრულებლობა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეს;

7.1.2 ბანკი დაადგენს, რომ მსესხებლის ფულადი სახსრების ბრუნვის მდგომარეობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მისი ფინანსური პროფილის სიჯანსაღეს, მსესხებლის საქმიანობას და ექვემდებარება მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

7.1.3 ბანკი დაადგენს, რომ საბაზრო პირობები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მსესხებლის გადახდისუნარიანობას;

7.1.4 ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო მსესხებელს ჩამოართმევს ქონებას ან სხვა აქტივებს, ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, ან მოახდენს მის ნაციონალიზაციას ან ექსპროპრიაციას;

7.1.5 ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან აღმოჩნდება არასწორი;

პირობები ძალაშია 2011 წლის 25 ნოემბრიდან.
 ცვლილებები შესულია 2013 წლის 11 აპრილს.

7.1.6 მსესხებლის მოქმედება მიმართულია ბანკის მოტყუებისაკენ, ან აყენებს მას ზიანს;

7.1.7 მსესხებლის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმართ სახელმწიფო ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ან გამოყენებული იქნება ღონისძიება, რომელიც არსებითად გაართულებს ან შეუძლებელს გახდის მსესხებლის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ საკუთარი ქონების განკარგვას;

7.1.8 თუ სასამართლოს გადაწყვეტილების, ან სახელმწიფოს ნორმატიული აქტის საფუძველზე, ან სხვა ფორმით მესაკუთრის ნებისაგან დამოუკიდებლად საფრთხე ემუქრება საკუთრების უფლებას უზრუნველყოფის საგანზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7.1.9 განადგურდა, დაზიანდა ან ღირებულება შემცირდა უზრუნველყოფის საგნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ შეიცვალა დადგენილი წესით უზრუნველყოფის საგანი:

(ა) უზრუნველყოფის საგანი გასხვისდა, გაიყო, გაერთიანდა ან სხვაგვარად გარდაიქმნა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე;

(ბ) უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე არღვევს უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრ ვალდებულებებს.

7.1.10 მსესხებელი შეწყვეტს ან ნებისმიერი სხვა მიზეზით მსესხებელს შეუწყდება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავის დამსაქმებელთან არსებული შრომითი ურთიერთობა, რომელიც გახდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი;

7.1.11 მსესხებელი ბანკის მიერ დადგენილ ვადაში არ წარუდგენს ბანკს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მოთხოვნილ ინფორმაციას.

7.2. ზემოთ აღწერილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე:

7.2.1 ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მსესხებლისათვის 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების მეშვეობით და მოსთხოვოს მას საგანგებო ავანსის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გადახდა ბანკის მიერ მითითებულ ვადაში;

7.2.2 გააუქმოს საგანგებო ავანსის ლიმიტი, რაც არ ნიშნავს ბანკისათვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული ან მისი დარღვევით წარმოშობილი უფლებების გაუქმებას, შელახვას ან/და წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას;

7.2.3 იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას ბანკში ამავედროულად გააჩნია ნებისმიერი სახის უზრუნველყოფილი კრედიტი, ბანკი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანება დაფაროს უზრუნველყოფილი კრედიტის თანხიდან. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც ბანკი მიიჩნევს საჭიროდ წინამდებარე პუნქტში აღწერილი ქმედების წარმატებით შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე პუნქტი და ხელშეკრულების სხვა შესაბამისი პუნქტები მიჩნეულ იქნება როგორც ცვლილება შესაბამის უზრუნველყოფილი კრედიტის ხელშეკრულება(ებ)ში და ბანკი უფლებამოსილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანება სრულად გადაფაროს უზრუნველყოფილი კრედიტის მეშვეობით.

7.2.4 წინასწარ 30 კალენდარული დღით ადრე შეტყობინების საფუძველზე ცალმხრივად გაზარდოს საგანგებო ავანსის საპროცენტო განაკვეთი, ან/და

7.2.5 უაქცეპტოდ (თანხმობის გარეშე) გადაიყვანოს მსესხებელი გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს ბანკის სრულ უფლებამოსილებას, მიაღწინოს მისი წარმომადგენელი მსესხებელთან და რეალური შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე მიიღოს ბანკის კუთვნილი თანხები ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ბანკის წარმომადგენლის დაშვება უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ქონების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესამოწმებლად ან/და მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად.

7.1 თუკი სხვაგვარად არ იქნა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული შესაბამის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებში, თუ უზრუნველყოფის საგანზე გადახდევინების მიქცევით მიღებული სარგებელი (ბანკის საკუთრებაში გადასული უზრუნველყოფის საგანი ან უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა) სრულად არ ფარავს უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, ბანკი უფლებამოსილია გადახდევინება მიაქციოს მსესხებლის ნებისმიერ ქონებაზე (მათ შორის, იმ ქონებაზეც, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს).

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლის, მოქმედების და ვადამდე შეწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მსესხებლის მიერ მასზე ელექტრონული ფორმით თანხმობის განცხადების თარიღიდან.

8.2 საგანგებო ავანსს მოქმედების ვადა არ გააჩნია და შესაბამისად წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული პროცენტის დარიცხვა ხორციელდება მსესხებლის მიერ საგანგებო ავანსის ძირი თანხის და ავანსის გააქტიურების ერთჯერადი საკომისიოს მთლიანად დაფარვამდე.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტა, მოშლა ან გაუქმება დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძველებით:

8.3.1 მხარეების ურთიერთშეთანხმებით;

8.3.2 მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც საფრთხეს უქმნის ან საეჭვოს ხდის ამგვარი დამრღვევი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემდგომ შესრულებას;

8.3.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 ან/და მე-7 მუხლით გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას;

8.3.4 ხელშეკრულებით ან/და შესაბამისი დანართებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით ან/და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.4 ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში, ბანკი უფლებას იტოვებს შეწყვიტოს ხელშეკრულება და ვადაზე ადრე მოითხოვოს საგანგებო ავანსის დაფარვა, მასზე დარიცხული პროცენტის და პირგასამტეხლოს თანხების ჩათვლით (არსებობის შემთხვევაში).

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ამ ხელშეკრულებასთან ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით.

პირობები ძალაშია 2011 წლის 25 ნოემბრიდან.
 ცვლილებები შესულია 2013 წლის 11 აპრილს.

9.3 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებასთან ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება მხარეებს შორის ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს ან ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით.

10. ბანკში პრეტენზიის წარდგენის წესი

10.1 მსესხებელი უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში 30 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით ბანკის ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების საშუალებით ან/და ელექტრონული ფოსტით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: pretenzia@libertybank.ge ბანკში დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

10.2 ბანკის მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 საბანკო დღეს.

10.3 მსესხებელს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ბანკის მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას ბანკის ვებ-გვერდის www.libertybank.ge საშუალებით.

11. კონფიდენციალურობა

11.1 ხელშეკრულების 11.2 პუნქტის გათვალისწინებით, მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების (მათ შორის, არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფის ხელშეკრულების) კონფიდენციალურობის პირობები. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (i) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (ii) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (iii) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

11.2 მიუხედავად 11.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა, მსესხებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, მსესხებლის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

11.2.7 საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და ს.ს. „კრედიტიფო საქართველოსთან“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში ს.ს. „კრედიტიფო საქართველოს“ მიაწოდოს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე დავალიანების წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

11.2.8 მისცეს თანხმობა ს.ს. „კრედიტიფო საქართველოს“, რომ ბანკის მიერ ს.ს. „კრედიტიფო საქართველოსათვის“ მიწოდებული მსესხებლის მონაცემები ს.ს. „კრედიტიფო საქართველომ“ გადასცეს მესამე პირებს, იმ პირობით, რომ ბანკის მიერ მიწოდებული მსესხებლის მონაცემების მიწოდება მოხდება იმ პირებისთვის, რომლებიც თავადაც აწვდიან ს.ს. „კრედიტიფო საქართველოს“ აღნიშნული ხასიათის მონაცემებს

და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება ს.ს. „კრედიტიფო საქართველოსთან“;

11.2.9 მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს ს.ს. „კრედიტიფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში არსებული მსესხებლის მონაცემები.

12. ზოგადი დებულებები

12.1 ნებისმიერი მხარის მხრიდან ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არადაამრღვევი) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

12.2 ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება ბანკს მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად კრებითა და დამატება ამ ხელშეკრულებით ან კანონით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

12.3 მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს მის მიერ განაცხადში მითითებული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის მემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლელებზე. ბანკთან წერილობითი შეთანხმების გარეშე მსესხებელს უფლება არა აქვს სხვას გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება.

12.5 ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ პირობების ტექსტში და აღნიშნულის შესახებ წინასწარ 30 ოცდაათი დღით ადრე აცნობოს მსესხებელს ბანკის საინფორმაციო საშუალებების, მათ შორის ბანკის ვებ-გვერდის მეშვეობით.

12.6 წინამდებარე პირობების ტექსტში ბანკის მხრიდან ცვლილებების შეტანა არ საჭიროებს წინასწარ შეტყობინებას პირობების მსესხებლის სასარგებლოდ შეცვლის შემთხვევაში.

12.7 მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია ბანკის იურიდიული მისამართი.

12.8 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

12.9 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებები და სხვა კომუნიკაციები უნდა ჩაბარდეს პირადად ან გაიგზავნოს დაზღვეული ან რეგისტრირებული საფოსტო გზავნილით, ასევე ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, ინტერნეტბანკით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე და საკონტაქტო პირებთან. შეტყობინება ჩათვლება ჩაბარებულად მხარეთათვის ნებისმიერ ამ პუნქტში აღნიშნული არხით გაგზავნისას.